



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



23-07-4-201804271448

27/04/2018



N 23

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №23  
2018 წლის 27 აპრილი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (ვებ გვერდი 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016320) შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების“ „სოციალური და ჯანდაცვის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეულის“ გრაფა „მთავარი სპეციალისტი მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის“ საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 4 ერთეულით; „სოციალური და ჯანდაცვის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეულის“ გრაფა „წამყვანი სპეციალისტი მესამე რანგი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი“ ამოღებულ იქნეს; შესაბამისად, „სოციალური და ჯანდაცვის

სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეულის“ ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური პირველადი სტრუქტურული ერთეული	5	
სამსახურის უფროსი პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1500
მთავარი სპეციალისტი მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	800

**მუხლი 2.** დადგინდება ამჟამედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
ბესიკ ტაბიდე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

